

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო

დებულება განსაზღვრავს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) უფლებამოსილებებს, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს.

მუხლი 2. საბჭოს ცნება

საბჭო არის გორის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - „მერი“) სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და მერის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები

1. საბჭოს პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) თანასწორობა;
- გ) საჯაროობა;
- დ) მიუკერძოებლობა;
- ე) კოლეგიურობა;
- ვ) საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.

2. საბჭოს მიზანია:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მერის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა;
- ბ) გორის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - „მუნიციპალიტეტი“) მოსახლეობასა და მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;
- გ) მერის საქმიანობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- დ) მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერის საქმიანობაში.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან/და მოქმედი მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო

ორგანიზაციების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები.

2. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

3. საბჭო, თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს.

5. საბჭო, სხდომის ორგანიზების, სხდომის ოქმის შედგენის, გაფორმების და სხვა ორგანიზაციული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს საბჭოს მდივანს.

თავი II

საბჭოს უფლებამოსილებები და შემადგენლობის დამტკიცების წესი

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილებები

1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) განიხილოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;

ბ) განიხილოს და მერს წარუდგინოს წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ;

გ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოაწყოს დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;

დ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;

ე) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის (შემდგომში - „ბიუჯეტი“) მომზადების პროცესში და განიხილოს ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენამდე;

ვ) განიხილოს მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები;

ზ) განიხილოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;

თ) განიხილოს სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

ი) განახორციელოს საბჭოს დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

2. მერის მიერ საბჭოსათვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციების, პროექტების) გადაცემა და მეორეს მხრივ საბჭოდან მერისათვის შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა

ხორციელდება უშუალოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების განყოფილებაში მოძრაობის გარეშე საბჭოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ან/და ოფიციალურად გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების განყოფილების მეშვეობით.

3. საბჭო საკითხის სხდომაზე განხილვის შემდგომ შესაბამის რეკომენდაციას/წინადადებას წერილობით წარუდგენს მერს. საბჭო უფლებამოსილია მერს წარუდგინოს თავისი რეკომენდაცია/წინადადება/მოსაზრება/შენიშვნები.
4. მერის მიერ გათვალისწინებული, გასათვალისწინებელი ან გაუთვალისწინებელი რეკომენდაციების შესახებ წერილობითი უკუკავშირის მიწოდება ხორციელდება საბჭოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.
5. მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების პროექტები/წინადადებები.

მუხლი 6. საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების წესი

1. საბჭო იქმნება მერის უფლებამოსილების ვადით.
2. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მერი.
3. საბჭოს დასაკომპლექტებლად მერი უფლებამოსილია თავად დააკომპლექტოს საბჭოს შემადგენლობა ან/და გამოაცხადოს საბჭოს წევრობაზე განცხადებების მიღება ამ მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების შესაბამისად.
4. საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ:
 - ა) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფს არანაკლებ 30 მოქალაქის შემადგენლობით;
 - ბ) მოქმედ მეწარმე იურიდიულ პირს, გარდა იმ მეწარმე იურიდიული პირისა, რომლის პარტნიორს/აქციონერს/დამფუძნებელს წარმოადგენს მუნიციპალიტეტი;
 - გ) მოქმედ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, გარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირისა, რომლის წევრსაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტი.
5. საბჭოს წევრობაზე განცხადების მიღების თაობაზე მერის ბრძანება საჯარო გაცნობისთვის ქვეყნდება ხელმოწერიდან არაუგვიანეს მეორე დღისა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სპეციალურად საჯარო განცხადებებისთვის განკუთვნილ ადგილას. განცხადება ასევე ქვეყნდება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში და ვრცელდება მუნიციპალიტეტის მთელ

ტერიტორიაზე გორის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - „მერია“) ვებ- გვერდისა და სხვა ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით, რომლის მართვასაც ახორციელებს მუნიციპალიტეტი.

6. საბჭოს წევრობის კანდიდატს უფლება აქვს, მერს საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მიმართოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ბრძანების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

7. მერი საბჭოს დაკომპლექტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებების მიღების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ზე მეტის უფლებამოსილების შეწყვეტისას, 10 დღის ვადაში საბჭოს დასაკომპლექტებლად მერი უფლებამოსილია თავად დააკომპლექტოს საბჭოს შემადგენლობა ან/და გამოაცხადოს საბჭოს წევრობაზე განცხადებების მიღება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

9. საბჭოში ორგანიზაციული ნიშნით წარმოდგენილი წევრის ცვლილების უფლება აქვს მის წარმდგენ ორგანიზაციას. წარმომადგენლის ცვლილება არ იწვევს საბჭოში წევრი ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტას.

10. საბჭოში ორგანიზაციული ნიშნით შერჩეული წევრის ცვლილების უფლება აქვს მერს საკუთარი ინიციატივით, ან შესაბამისი ორგანიზაციის წინადადების საფუძველზე. მერის ინიციატივის საფუძველზე განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელია წევრი ორგანიზაცია ჩანაცვლდეს სხვა ორგანიზაციით.

თავი III

საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი, საბჭოს წევრი

მუხლი 7. საბჭოს თავმჯდომარე

1. საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს საბჭო.

2. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია საბჭოს არანაკლებ 3 წევრს.

მუხლი 8. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები

1. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) მოიწვიოს და გაუძღვეს საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელი მოაწეროს საბჭოს ოქმს და საბჭოს მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებს;

გ) უზრუნველყოს საბჭოს გადაწყვეტილების მერთან წარდგენა;

დ) მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ე) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

2. საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

3. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას მისივე დავალებით ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი. ასეთი დავალების მიუცემლობის შემთხვევაში კი - საბჭოს მდივანი (საბჭოს სხდომებს შორის პერიოდში), ან სხდომაზე არჩეული საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 9. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა

საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) საკუთარი განცხადებით;

ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილებით;

გ) საბჭოს უფლებამოსილების და წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში.

მუხლი 10. საბჭოს მდივანი

1. საბჭო, საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს საბჭოს მდივანს.

2. საბჭოს მდივნის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია საბჭოს არანაკლებ 2 წევრს.

3. საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს მდივნის უფლებამოსილებებს მისივე დავალებით ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 11. საბჭოს მდივნის უფლებამოსილებები

1. საბჭოს მდივანი:

ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას;

ბ) საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ განცხადებას/ინიციატივას დასარეგისტრირებლად გადასცემს მერიის ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურს;

გ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას და გაფორმებას;

დ) აცნობს სხდომის ოქმს სხდომაზე დამსწრე წევრებს;

ე) უზრუნველყოფს საბჭოს დასკვნის შედგენას და გაფორმებას;

ვ) ასრულებს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობას საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ამ დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

ზ) ახორციელებს სხვა ორგანიზაციულ ფუნქციებს.

2. საბჭოს მდივნის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 12. საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტა

საბჭოს მდივანს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) საკუთარი განცხადებით;

ბ) საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილებით;

გ) საბჭოს უფლებამოსილების და წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში.

მუხლი 13. საბჭოს წევრი

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ბ) შევიდეს და გადაადგილდეს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთათვის დაწესებული რეჟიმის (სპეციალურის გარდა) შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) დაესწროს და წინასწარი წერილობითი მიმართვის გარეშე მონაწილეობა მიიღოს მერის ან მის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების მიერ გამართულ საჯარო სხდომებში, დებატებში; დასვას შეკითხვები მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

დ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ე) საბჭოს და მერს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები;

ვ) ისარგებლოს ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

2. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 14. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება თუ:
 - ა) სასამართლოს მიერ აღიარებულია გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად;
 - ბ) მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრობის შეწყვეტის განცხადებით;
 - გ) არასაკაპიტო მიზეზით ზედიზედ 3 სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა;
 - დ) სასამართლოს ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა;
 - ე) გარდაიცვალა;
 - ვ) განხორციელდა საბჭოში მისი წარმდგენი იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

თავი IV საბჭოს სხდომის მოწვევა და გადაწყვეტილების მიღება

მუხლი 15. საბჭოს სხდომის მოწვევის უფლების მქონე სუბიექტები

საბჭოს სხდომას იწვევს მერი საკუთარი ინიციატივით, ან საბჭოს თავმჯდომარე - საკუთარი ან საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით.

მუხლი 16. საბჭოს სხდომის მოწვევა

1. საბჭოს სხდომა იმართება როგორც წესი თვეში ერთხელ. საბჭოს მორიგ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე ამ დებულების მე-15 მუხლისა და ამ მუხლის მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით.
2. საბჭოს პირველ სხდომას საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იწვევს მერი. პირველ სხდომას ხსნის მერი და საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომის თავმჯდომარეობას გადასცემს საბჭოს უხუცეს წევრს.
3. სხდომის მოწვევის შესახებ განცხადება რეგისტრირდება მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც.
4. სხდომის მოწვევის შესახებ განცხადებაში უნდა აღინიშნოს:
 - ა) სხდომის გამართვის თარიღი, დრო და ადგილი;
 - ბ) სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხების ნუსხა;

გ) სხდომის გამართვისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია.

5. საბჭოს სხდომების გამართვის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას სრულად უზრუნველყოფს მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

6. სხდომის მოწვევის ინიციატივას ხელს აწერს სხდომის მოწვევის ინიციატორი, ხოლო სხდომის მოწვევის საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიცირების შემთხვევაში - თითოეული წევრი ცალ-ცალკე.

7. საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ, საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიეწოდებათ სხდომამდე, 3 დღით ადრე მაინც, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო შეტყობინების გზით.

მუხლი 16¹. საბჭოს სხდომის ღიაობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება

1. საბჭოს სხდომები ღიაა და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს.

2. საბჭოს სხდომის თავმჯდომარის თანხმობით, პირს შეუძლია გამოთქვას მოსაზრება განსახილველ საკითხზე ან/და დასვას კითხვა; ასევე მოახდინოს საკითხის ინიცირება, რომელსაც საბჭო ხმათა უმრავლესობით განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას შემდგომი რეკომენდაციისთვის.

3. საბჭოს სხდომის თარიღის, გამართვის ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომამდე, 2 დღით ადრე მაინც, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან სოციალური ქსელის მეშვეობით

4. საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები ქვეყნდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

5. საბჭო წელიწადში ერთხელ წარადგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 17. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. საბჭოს სხდომას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე.

2. საკითხის ინიცირების უფლება აქვს საბჭოს წევრს, საბჭოს თავმჯდომარეს და მერს.

3. მერი, მერიის თანამდებობის პირები და მერის უფლებამოსილი წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ სხდომას სათათბირო ხმის უფლებით.

4. საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

5. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

6. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ადგენს სხდომის მდივანი.

7. საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის დაწყების და დასრულების დრო;

გ) სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების სია;

დ) სხდომის დღის წესრიგით განსახილველ საკითხთა ნუსხა;

ე) სხდომაზე განხილული საკითხები და კენჭისყრის შედეგები;

ვ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.

8. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და უზრუნველყოფს მის მიწოდებას მერისათვის.

9. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა და მას სავალდებულო ძალა არა აქვს.

თავი V დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

1. დებულებაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მერის, საბჭოს თავმჯდომარის, ან/და საბჭოს წევრის ინიციატივის საფუძველზე.

2. დებულებაში ცვლილების შეტანა, ან მისი გაუქმება ხდება მერის ბრძანების საფუძველზე.